

საქმიანობა მცირე ბიზნესის სტატუსით

წიგნაკი

წიგნაკის შესახებ

წიგნაკი განკუთვნილია მეწარმე ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც სურთ ეკონომიკური საქმიანობა განახორციელონ მცირე ბიზნესის სტატუსით. წიგნაკი წარმოადგენს პრაქტიკულ დამხმარე გზამკვლევ სახელმძღვანელოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისა და აღნიშნული სტატუსით საქმიანობის წესის თაობაზე.

1. რა არის მცირე ბიზნესი?

მცირე ბიზნესი არის მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ საშემოსავლო გადასახადი გადაიხდევენება მის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან.

2. ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი?

მცირე ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის ვალდებულება.

3. როგორ ხდება მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება?

თუ ფიზიკური პირი არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ და აპირებს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას:

- იგი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;
- აღნიშნული რეგისტრაციის შემდეგ, იგი უფლებამოსილია მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

თუ ფიზიკური პირი აპირებს მაგ. სამეცნიერო ან სახელოვნებო საქმიანობის დაწყებას, იგი მიმართავს საგადასახადო ორგანოს:

- საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

თუ ფიზიკური პირი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, იგი უფლებამოსილია მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით;

თუ ფიზიკური პირი ეწევა მაგ. სამეცნიერო ან სახელოვნებო და საგადასახადო ორგანოში იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, იგი უფლებამოსილია მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებულმა ფიზიკურმა პირმა შესაძლებელია ასევე მიმართოს ბანკს.

4. როდიდან ენიჭება ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი და ითვლება სტატუსის მქონედ?

მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება საგადასახადო ორგანოსთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან.

მაგალითი 1:

ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, ახორციელებს სურსათით საცალო ვაჭრობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა თითოეული წლის მიხედვით შეადგინა 600 000 ლარი.

პირმა მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს განცხადებით მიმართა 2020 წლის 10 მარტს.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პირის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი თითოეული წლის მიხედვით აღემატება 500 000 ლარს, აღნიშნული არ არის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის შემზღუდავი პირობა. ამასთან, ვაჭრობა არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას. პირი აკმაყოფილებს მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს. შესაბამისად, საგადასახადო ორგანო მას ანიჭებს მცირე ბიზნესის სტატუსს და გადასცემს სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ფიზიკური პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონედ ჩაითვლება 2020 წლის 1 აპრილიდან. მის მიერ 1 აპრილიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

5. რა შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებაზე?

ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი არ მიენიჭება, თუ იგი:

- არ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს;
- ახორციელებს მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას;
- ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელზეც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახადი. მას სტატუსი არ მიენიჭება მხოლოდ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში.

6. რომელი საქმიანობების განხორციელება არის მცირე ბიზნესისათვის აკრძალული?

მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობებია:

- საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;
- საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);
- სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
- სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;
- სათამაშო ბიზნესი;
- პერსონალით უზრუნველყოფა;

- აქციზური საქონლის წარმოება.

7. საქართველოს მთავრობის დადგენილებით რომელ საქმიანობებზეა განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადი?

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობებია:

- თონეში წარმოებული/საწარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი გაწეული მომსახურება;
- თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის (მათ შორის, თმის დაგრძელების), შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის (მათ შორის, წამწამების დაგრძელების), მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება;
- მანიკურის და პედიკურის (მათ შორის, ფრჩხილების დაგრძელების) მომსახურება;
- სოლარიუმის მომსახურება;
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის, სალტეების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე გაწეული სხვა მომსახურება (ხალიჩების რეცხვა).

8. თუ მეწარმე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, შეუძლია თუ არა მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი?

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით.

9. რისგან შედგება და რა განაკვეთით იბეგრება მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი?

- მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან.
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით.
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა (გადაჭარბების თვის დასაწყისიდან იმავე კალენდარული წლის ბოლომდე).

მაგალითი 2:

ფიზიკურ პირს, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2018 წლის 1 აგვისტოდან. მის მიერ სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავალი შეადგენს 600 000 ლარს, მათ შორის ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 400 000 ლარს, ხოლო ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი - 200 000 ლარს. ფიზიკურმა პირმა სტატუსის მინიჭების შემდგომ პერიოდში (აგვისტო-დეკემბერი) ვაჭრობიდან მიიღო შემოსავალი 150 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, პირის მიერ სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავალი (600 000 ლარი) ექვემდებარება დაბეგვრას საერთო წესით, რის თაობაზეც იგი ვალდებულია არასრული საგადასახადო პერიოდისათვის (2018 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე) საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

ამასთან, პირის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი (400 000 ლარი) გაითვალისწინება 3%-იანი განაკვეთის განსაზღვრის მიზნებისთვის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული

დასაბეგრი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას. შესაბამისად, პირის მიერ სტატუსის მინიჭების შემდგომ პერიოდში მიღებული შემოსავალი 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების თვის დასაწყისიდან დაექვემდებარება დაბეგვრას ყოველთვიურად მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 3%-იანი განაკვეთით.

მაგალითი 3:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა 2019 წლის 20 ოქტომბერს გადაჭარბა 500 000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ხოლო 1 ოქტომბრიდან კალენდარული წლის დასრულებამდე მიღებული შემოსავალი - 3%-იანი განაკვეთით. ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება 1%-ით 500 000-ლარიანი ზღვრის ფარგლებში.

10. უფლებამოსილია თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ საქმიანობასთან ერთად დამატებით ეწეოდეს სხვა საქმიანობას?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა, დამატებით შესაძლებელია იღებდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემოსავლებს. ასეთი შემოსავლის სახეები არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. ამასთან, ასეთი ტიპის შემოსავლები საშემოსავლო გადასახადით იბეგრება საერთო წესით.

ასეთი შემოსავლებია:

- ქონების იჯარით/უძრავი ქონების ქირით გაცემა;
- სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
- სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
- ჩუქება;
- ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია უძრავი ქონების, ავტოსატრანსპორტო საშუალების ან ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით;
- მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
- პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
- როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
- ვალის პატივებით მიღებული შემოსავალი;
- პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

11. როგორ იბეგრება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ექვემდებარება ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრას და გაცემისას დამქირავებლის მიერ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან. ამასთან, მის მიერ მიღებული ხელფასი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება.

12. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ მომსახურების გაწევისას, მისთვის ანაზღაურებული თანხა ექვემდებარება თუ არა საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან დაბეგვრას?

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ ან დღგ-ის გადამხდელად, მის მიერ მომსახურების გაწევისას, მისთვის საგადასახადო აგენტის მიერ ანაზღაურებული თანხა გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება.

13. რა პერიოდულობით და რა ვადებში ევალუა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადის გადახდა და საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა?

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის ნაწილში საშემოსავლო გადასახადი გადაიხდევენება ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამავე ვადაში ხორციელდება საგადასახადო ორგანოში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენა.

ამასთან, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი დამატებით ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი წესით, საქმიანობის ამ ნაწილში იგი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო 1 აპრილამდე წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

მაგალითი 4:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ახორციელებს ვაჭრობას. ამასთან, მან 2019 წელს გაყიდა საცხოვრებელი სახლი 120 000 ლარად, რომელიც წინა წელს შეძენილი ჰქონდა 90 000 ლარად.

მოცემულ შემთხვევაში, მის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, რის თაობაზეც იგი განახორციელებს ყოველთვიურ ანგარიშგებას მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წესით.

ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულია, როგორც ჩვეულებრივი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი. ამასთან, ასეთი ტიპის შემოსავლები მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება. ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი 30 000 ლარი (120 000-90 000) დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით. საქმიანობის ამ ნაწილში პირი 2020 წლის 1 აპრილამდე წარადგენს საშემოსავლო გადასახადის 2019 წლის წლიურ დეკლარაციას.

14. თუ ფიზიკურ პირს 2018 წლის ივლისამდე უკვე მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, როგორ ახდენს ანგარიშგებას?

თუ ფიზიკურ პირს 2018 წლის ივლისამდე უკვე მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და არ მოითხოვა სტატუსის გაუქმება, იგი ამავე სტატუსით აგრძელებს საქმიანობას.

მის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 1 ივლისამდე მოქმედი წესითა და განაკვეთით. პირი ამ პერიოდზე საგადასახადო დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში წარადგენს არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

2018 წლის ივლისიდან იგი საქმიანობას განახორციელებს ახალი დაბეგვრის წესის შესაბამისად.

15. ევალება თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს მიმდინარე გადასახდელების გადახდა?

2018 წლის 1 ივლისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მიმდინარე გადასახდელების გადახდა არ ევალება.

ამასთან, თუ მეწარმე ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2018 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში, სტატუსის მინიჭების თარიღიდან წლის ბოლომდე დარჩენილი სავადოების მიხედვით მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.

მაგალითი 5:

ინდივიდუალურ მეწარმეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი. მას საგადასახადო ორგანოში წარდგენილი აქვს 2017 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. მის მიერ 2017 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები შედგება, როგორც ვაჭრობიდან, ასევე სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლებისგან.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პირს 2017 წელს მიღებული აქვს როგორც სპეციალური რეჟიმით, ასევე საერთო წესით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავალი, მას 2018 წლის 15 სექტემბრის და 15 დეკემბრის სავადოების მიხედვით მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.

16. ევალება თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება?

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად გადახდილი 6 000 ლარამდე ხელფასი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) იგი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მას მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა იმავე კალენდარული წლის განმავლობაში;
- ბ) მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი 50 000 ლარს არ აჭარბებს.

- სხვა შემთხვევაში, მიღებული მომსახურების ანაზღაურებისას ან ხელფასის გაცემისას, (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულების არსებობისას) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

მაგალითი 6:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა 2019 წლის 25 აპრილს ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ და დღგ-ის გამამხდელად, აუნაზღაურა საიჯარო მომსახურების ღირებულება.

მოცემულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია მომსახურების ღირებულების აუნაზღაურებისთანავე გადაიხადოს ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი და არაუგვიანეს 15 მაისისა წარადგინოს „საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ დეკლარაცია და „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ ინფორმაცია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №II-06 და №II-07 დანართების მიხედვით.

მაგალითი 7:

ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 2017 წლიდან. მის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 45 000 ლარი. 2020 წლის 27 იანვარს დაქირავებულ თანამშრომლებზე გასცა ხელფასი - 4000 ლარი. დაქირავებულებზე გაცემული ხელფასი უკავშირდება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი აქვს 2019 წლის განმავლობაში და ამავე დროს მის მიერ ამავე პერიოდში მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 50 000 ლარს, მას 2020 წლის იანვარში 6000 ლარამდე გაცემულ ხელფასზე გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ წარმოეშობა.

მაგალითი 8:

ფიზიკური პირი 2019 წლის 10 მარტს დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ და ამავე წლის 1 მაისიდან მიიღო მცირე ბიზნესის სტატუსი. მის მიერ 3 დაქირავებულისათვის 2019 წლის მაისის და ივნისის თვეებში გაცემულმა ხელფასმა თითოეულ თვეში თითოეულ თანამშრომელზე შეადგინა 1600-1600 ლარი, ანუ ჯამურმა განაცემმა 2 თვეში შეადგინა 9600 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პირი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მცირე ბიზნესის სტატუსი მიიღო 2019 წლის განმავლობაში, მას მაისის თვეში გაცემულ ხელფასზე გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება არ აქვს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დაქირავებულებზე ჯამურად გაცემულმა ხელფასმა 6000 ლარს გადააჭარბა, პირს ივნისის თვეში გაცემული ხელფასის ნაწილზე, კერძოდ 3600 ლარზე წარმოეშობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისა და საანგარიშო თვის მიხედვით შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. ამასთან, იგი ვალდებულია შემდეგ პერიოდებში გაცემული ხელფასი სრულად დაბეგროს გადახდის წყაროსთან.

17. აქვს თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულება?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენოს სასაქონლო ზედნადები.

18. რა ფორმით უნდა მოახდინოს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა აწარმოოს სპეციალურ ჟურნალში, რომელიც დამტკიცებულია „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. N999 ბრძანებით.

მაგალითი 9:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა 2019 წლის 7 აპრილს ბაზარში, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შეიძინა 1 ტომარა კარტოფილი 40 ლარად და 10კგ ხახვი 15 ლარად. ამასთან, იმავე დღეს საგადასახადო სასაქონლო ზედნადებით (N123) შეიძინა 12 ცალი ნამცხვარი – ფასი 10 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში ჟურნალი შეივსება შემდეგნაირად:

N	შეძენილი საქონელი ან/და მიღებული მომსახურება	ზომის ერთეული	რაოდენობა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	კარტოფილის შესყიდვა	ტონარა	1	07.04.19	40 ლარი		
2	ხაზვის შეძენა	კგ	10	07.04.19	15 ლარი		
3	ნამცხვარი	ც	12	07.04.19	10 ლარი	სასაქონლო ზედნადები №123, 07.04	

19. რა მეთოდით უნდა მოახდინოს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად შესაძლებელია გამოიყენოს საკასო ან დარიცხვის მეთოდი. ამასთან, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, იგი ვალდებულია შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა განახორციელოს დარიცხვის მეთოდით.

20. როგორ იანგარიშება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი?

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ დასაბეგრ შემოსავალს იანგარიშებს დღგ-ის გარეშე.

მაგალითი 10:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, 2019 წლის 5 იანვარს მოახდინა საქონლის რეალიზაცია. საკომპენსაციო თანხა შეადგენს 11 800 ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკური პირი მცირე ბიზნესისათვის დასაბეგრ შემოსავალს იანგარიშებს დღგ-ის გარეშე თანხიდან - 10 000 ლარიდან, რომელიც დაიბეგრება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 1%-იანი (ან 3%-იანი) განაკვეთით.

21. სარგებლობს თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით საშემოსავლო გადასახადში დადგენილი საგადასახადო შეღავათებით?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით საშემოსავლო გადასახადში დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. ამასთან, თუ აღნიშნული შეღავათი სრულად გამოიყენება ყოველთვიურ დეკლარაცი(ებ)ში, იგი არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის III ნაწილში ასახვას, ხოლო დადგენილი შეღავათის ყოველთვიურ დეკლარაცი(ებ)ში ნაწილობრივ გამოყენების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის III ნაწილში მიეთითება შეღავათის დარჩენილი ოდენობა.

მაგალითი 11:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ახორციელებს სურსათის საცალო ვაჭრობას. ამ საქმიანობის ნაწილში 2019 წლის თებერვალში მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 470 000 ლარი. იგი ასევე ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა ამავე თვეში შეადგინა 50 000 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში, პირის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც შემოსავალი, რომელიც არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში, შესაბამისად, იგი გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.

შესაბამისად, პირის მიერ 2019 წლის თებერვლის თვეში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას, შეადგენს 520 000 ლარს (470 000+50 000).

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი - 470 000 ლარი, ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 3%-იანი განაკვეთი, რის თაობაზეც პირი არაუგვიანეს 2019 წლის 15 მარტისა საგადასახადო ორგანოში წარადგენს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას და გადაიხდის კუთვნილ გადასახადს. ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულ შემოსავალზე პირი ისარგებლებს საგადასახადო შეღავათით, ვინაიდან ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება.

22. აქვს თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი მონაცემები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

23. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე, ევალება თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენება?

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე (მათ შორის არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან), იგი 2018 წლის 1 ივლისიდან ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

24. რა შემთხვევაში და რა პერიოდიდან უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი?

მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან, თუ:

- ფიზიკურმა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით კალენდარული წლის დასრულებამდე;

- ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა ზედიზედ 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში - 500 000 ლარს გადააჭარბა.

ამასთან, თუ ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა, მაგრამ მას მცირე ბიზნესის სტატუსი ქონდა მხოლოდ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, აღნიშნული არ ჩაითვლება მისთვის სტატუსის გაუქმების საფუძველად.

მაგალითი 12:

ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, ახორციელებს სურსათით საცალო ვაჭრობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მის მიერ 2018 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 600 000 ლარი.

პირს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2019 წლის იანვარიდან. მის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა გადააჭარბა 500 000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი თითოეული წლის მიხედვით აღემატება 500 000 ლარს, აღნიშნული არ არის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი, ვინაიდან 2018 წელს მას არ ჰქონდა მცირე ბიზნესის სტატუსი. შესაბამისად, მას მცირე ბიზნესის სტატუსი 2020 წლიდან არ უქმდება.

მაგალითი 13:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა 2019 წლის 15 სექტემბერს მიმართა საგადასახადო ორგანოს და მოითხოვა სტატუსის გაუქმება.

მოცემულ შემთხვევაში, მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაითვლება 2020 წლის დასაწყისიდან. შესაბამისად, 2019 წლის ბოლომდე მის მიერ მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით. ხოლო 2020 წლიდან მიღებული შემოსავლები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

25. რა მოხდება თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა განახორციელა მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობა?

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას, მას სტატუსი უქმდება მიმდინარე კალენდარული წლის დასაწყისიდან.

მაგალითი 14:

2019 წელს საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

მოცემულ შემთხვევაში, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაითვლება 2019 წლის დასაწყისიდან და მის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი დაიბეგრება საერთო წესით, რის თაობაზეც იგი 2020 წლის 1 აპრილამდე წარადგენს საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას. ამასთან, მის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები დაექვემდებარება გაუქმებას.

26. რა მოხდება თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაჯარიმდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის?

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ დაჯარიმდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის, მას სტატუსი გაუქმდება მიმდინარე კალენდარული წლის დასაწყისიდან.

მაგალითი 15:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირს 2020 წლის 15 სექტემბერს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის დაეკისრა მესამე ჯარიმა. მას საგადასახადო ორგანოში წარდგენილი აქვს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები.

მოცემულ შემთხვევაში, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაეთვლება 2020 წლის დასაწყისიდან, ყოველთვიური დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები დაექვემდებარება გაუქმებას.

ამასთან, პირს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების მიხედვით დაერიცხება მიმდინარე გადასახდელები 2019 წლის წლიური გადასახადის მიხედვით.

ფიზიკურ პირს საგადასახადო ორგანოსათვის განცხადებით მომართვის საფუძველზე, შესაძლებელია ხელახლა მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი 2021 წლიდან.

27. რა ფორმით ხორციელდება მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისას სასაქონლო მარაგების აღრიცხვა?

მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია ამ მომენტისთვის არსებულ სასაქონლო ნაშთებზე გაწეული ხარჯი, რომელზედაც გააჩნია ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 16:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა 2020 წლის 15 სექტემბერს მიმართა საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით. მას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდვების მიხედვით მარაგების სახით აქვს 120 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი. ამასთან, ხარჯის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი გააჩნია მხოლოდ 40 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთზე.

მოცემულ შემთხვევაში, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაეთვლება 2021 წლის დასაწყისიდან. იგი უფლებამოსილია განახორციელოს სასაქონლო ნაშთების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მომენტში არსებული 120 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი აღურიცხველად არ ჩაითვლება. ამასთან, პირი უფლებამოსილია მხოლოდ 40 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთზე გაწეული ხარჯი გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

28. ფიზიკურ პირს, რომელსაც 2018 წლის 1 ივლისამდე უკვე მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, არასრულ საანგარიშო პერიოდზე (2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდზე) კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25%-ის ფარგლებში

გაცემული ხელფასის ხარჯზე აქვს თუ არა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირის მიმართ 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდზე ვრცელდება ამ პერიოდში მოქმედი დაბეგვრის წესი, მათ შორის გაცემულ ხელფასთან მიმართებაში. შესაბამისად, მას არასრულ პერიოდში (2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში) ერთობლივი შემოსავლის 25%-ის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება. ამასთან, თუ ამავე პერიოდში გაცემული ხელფასი 6 000 ლარს აღემატება, გაცემულ ხელფასთან მიმართებაში 2018 წლის 1 ივლისიდან მოქმედი დაბეგვრის წესი არ გავრცელდება.